თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2013 წლის 13 დეკემბერი სხდომის ოქმი #15

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ასოც. პროფ. თ. ბერიძე; ფაკულტეტის სწავლული მდივანი, ასოც. პროფ. ხ. ბარბაქაძე; ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 27, სტუდენტები – 6, სულ – 33 წევრი.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურის შესახებ (დანართი #1)

(მომხსენებელი დეკანის მ.შ. ასოც. პროფ. თ. ბერიძე)

2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2014 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების შესახებ (დანართი #2).

(ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე)

3. კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭებისა და მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ

(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი)

4. სადოქტორო დისერტაციის შემფასებლების ანაზღაურების საკითხის შესახებ.

(სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე)

5. „საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის (გერმანია) უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ორმაგი ხარისხით პროგრამის ფარგლებში მივლინების ანგარიში

(მომხსენებელი დეკანის მ.შ. ასოც. პროფ. თ. ბერიძე)

მიმდინარე საკითხები.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელშიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის ქალბატონი ნინო პაპაჩაშვილის თხოვნით შევიდა შესწორება და შესწორებული ვარიანტი ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურის შესახებ

(მომხსენებელი დეკანის მ. შ. ასოც. პროფ. თ. ბერიძე)

მომხსენებელმა ბატონმა თ. ბერიძემ საბჭოს მოკლედ მოახსენა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურების შესახებ, რომელიც საბჭოს წევრებს დაგზავნილი ქონდათ ელექტრონულადაც.

აზრი გამოთქვეს:

ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძე - გავეცანი პროექტს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურების შესახებ და მაქვს გარკვეული სახის მოსაზრებები და შენიშვნები, კერძოდ:

1. **მუხლი პირველი - დეკანის არჩევნების ორგანიზაციული საკითხები** და პუნქტი მეორის ჩამონათვალში კენჭისყრის ფარულობა და შემდეგ ისევ მუხლი 6-ში ისევ მეორდება დეკანის არჩევა ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ფარული კენჭისყრის საფუძველზე. რადგან პირველ მუხლში ეს უკვე აღნიშნულია, ისევ განმეორება აღარ იქნება სასურველი, თუ არა მაშინ ცალკე პუნქტად გამოიყოს, რომ დეკანის არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით;

2. **მუხლი მეორე** - ეხება დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველთა განცხადებების მიღების წესს. სადაც აღნიშნულია, რომ დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველი პირი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს. აკადემიური თანამდებობის დაკავების შესახებ გამოცხადებული კონკურსის დროს განცადებით მივმართავთ რექტორს და ამიტომ აქ სასურველი ხომ არ იქნება დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველი პირმა განცხადებით მიმართოს რექტორს, ხოლო რექტორი კი უგზავნის განსახილველად ფაკულტეტის საბჭოს.

3. **მუხლი მესამე - საარჩევნო ბიულეტენი,** სადაც ერთ-ერთ პუნქტად მითითებულია ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი და რიგითი ნომრების თანმიმდევრობა დალაგებული ალფავიტის მიხედვით,

ქართულად გაუმართავია აღნიშნული პუნქტი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი და რიგითი ნომრების თანმიმდევრობა დალაგებული ქართული ანბანის მიხედვით.

4. **მუხლი 5. კენჭისყრის ორგანიზება.** აქ საუბარია, რომ საარჩევნო სიაში შედის ფაკულტეტის საბჭოს ყველა წევრი. საარჩევნო სიაში მოცემულია ფაკულტეტის საბჭოს წევრის სახელი და გვარი. აღნიშნული შეიძლებოდა ერთ წინადადებად გაერთიანებულიყო - საარჩევნო სიაში შედის ფაკულტეტის საბჭოს ყველა წევრი სახელისა და გვარის მითითებით.

5. **მუხლი 7. ხმების დათვლა.** აქ საუბარია როდის მიიჩნევა ბიულეტინი ბათილად თუ საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის საარჩევნო კომისიის რეგისტრატორთა 3 (სამი) ხელმოწერით, კომისიის რეგისტრატორები ალბად ნაგულისხმევია კომისიის წევრები და ამიტომ აქ ჩაიწეროს კომისიის წევრის 3 (სამი) ხელმოწერით. ასევე ამავე მუხლში ერთ-ერთ ქვეპუნქტად მოცემულია, რომ შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა. ვინაიდან არსებული პროცედურის მიხედვით საბჭოს წევრმა მხოლოდ ერთ კანდიდატს უნდა მისცეს ხმა, აქ სასურველია დაემატოს, რომ თუ ერთზე მეტ კანდიდატს მისხა ხმა ის ბიულეტინიც უნდა ჩაითვალოს ბათილად.

5. **მუხლი 8. არჩევნების შედეგების შეჯამება.** აღნიშნულია, რომ არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობს პირველი ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. იმ შემთხვევაში თუ ერთიდაიგივე შედეგი დააგროვა სამმა კანდიდატმა რა ვქნათ ამ შემთხვევაში? ორის შერჩევა რა კრიტერიუმების მიხედვით ხდება? შემდეგი წინადადება უფრო ბუნდოვანი მეჩვენება იმ შემთხვევაში თუ პირველი ტურის შედეგების მიხედვით ხმები გაიყო თანაბრად პირველ ან მეორე საუკეთესო შედეგის მქონე ორ ან მეტ კანდიდატს შორის, რის გამოც არ გვყავს მეორე ტურში გამსვლელი მხოლოდ ორი კანდიდატი, არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ პირველი ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატები, რომელთაც თანაბარი ხმების რაოდენობა მიიღეს ან საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატთან ერთად ის კანდიდატები, რომელთაც მეორე შედეგი

აჩვენეს და მათ შორის ხმები თანაბრად გადანაწილდა - ეს წინადადება ბუნდოვანია.

6. და ბოლოს, არჩევნების შედეგებს სჭირდება დამტკიცება და დაემატოს, რომ არჩევნების შედეგებს ამტკიცებს რექტორი.

პროფ. თ. შენგელია - ბატონო თემურ შეკითხვა მაქვს რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ მუხლი პირველი. ერთ-ერთ ქვეპუნქტში საუბარია იმაზე არჩევნები ტარდება ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. თუ ფაკულტეტის დეკანი არის დეკანობის კანდიდატი, მას არ აქვს სხდომის თავმჯდომარეობის უფლება და ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თავმჯდომარეს სხდომის დაწყებამდე ირჩევს ფაკულტეტის საბჭო, ვინაიდან ჩვენ გვყავს არჩეული დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ამიტომ ეს გამონაკლისი დავუშვათ ჩვენ? ვიფიქროთ ამაზე.

პროფ. ე. ხარაბაძე - აქ უნდა დაკონკრეტდეს აუცილებლად.

პროფ. თ. შენგელია - დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველი პირი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს. ეს ძალიან კარგია, რადგან დეკანის წინა არჩევნების დროს არც კომისია შექმნილა და არც დებულება წაუკითხავს მე მგონი არავის. აქ არაა მითითებული განცხადების შეტანის ვადები და მე ვფიქრობ სასურველია ვადების დაკონკრეტება. კიდევ ერთი შეკითხვა, მეორე მუხლში მითითებულია, რომ დეკანობის კანდიდატმა უნდა წარმოადგილოს ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია (არაუმეტეს 5 გვერდი), რატომ უნდა შემოვიფარგლოთ ხუთი გვერდით იყოს მეტი, გამოქვეყნდეს საჯაროდ, მოხდეს მისი განხილვა, მაგრამ აქ საინტერესოა კონცეფციაზეა საუბარი თუ ფაკულტეტის განვითარების სტარტეგიაზე? მე ამ დავამთავრე შეკითხვები, საერთო ჯამში, ძალიან კარგი და წინ გადადგმული ნაბიჯია, ჯერ მუშავდება წესი, მერე შეიქმნება კომისია და შემდეგ ჩატარდება არჩევნები და აღარ იქნება წინა წლების მსგავსად ხელის აწევით რომ ავირჩიეთ დეკანი.

დეკანის მ. შ. ასოც. პროფ. თ. ბერიძე - ბატონი ნუგზარის შენიშვნებთან დაკავშირებით მე ვთხოვ ჩვენი ფაკულტეტის იურიტს გვანცა ხასიას, რომ გააკეთოს განმარტებები. რაც შეეხება ფაკულტეტის კონცეფციას და სტრატეგიას. ახალი წესდების მიხედვით ცალსახადაა განსახღვრული, რომ არცეული

დეკანი ფაკულტეტს წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტატეგიას და აქედან გამომდინარე, დეკანობის კანდიდატი წარადგენს კონცეფციას, ხოლო არჩეული დეკანი კი წარადგენს სტრატეგიას.

პროფ. გ. ღაღანიძე - მუხლი 5. კენჭისყრის ორგანიზება. აღნიშნულია, რომ კენჭისყრა დეკანის ასარჩევად ტარდება 12.00-15.00 სთ, ფაკულტეტის მიერ გამოცხადებულ არჩევნების დღეს. რატომ 12.00-15.00 სთ? ასევე აუცილებლად გასასწორებელი იქნება **მუხლი 7. ხმების დათვლა.** ბიულეტენების საერთო რაოდენობა უნდა ემთხვეოდეს ამომრჩეველთა სიაში ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ხელმოწერების რაოდენობას; სასურველია ფორმულირება ჩასწორდეს შემდეგნაირად - ბიულეტენების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამომრჩეველთა სიაში ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ხელმოწერების რაოდენობას.

იურისტი გვანცა ხასია - მოგესალმებით, შევეცდები არსებულ შენიშვნებთან დაკავშირებით გაგცეთ პასუხი, კერძოდ: **მუხლი მეორე** - ეხება დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველთა განცხადებების მიღების წესს. სადაც აღნიშნულია, რომ დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველი პირი განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს. ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ თსუ-ს ძველი წესდების მიხედვით, რომელიც უკვე მოქმედი აღარ არის აკადემიურ საბჭოს ქონდა უფლება-მოსილება შეერჩია სამი კანდიდატი და წარედგინა ფაკულტეტის საბჭოსთვის. ახალი წესდების მიხედვით, აკადემიური საბჭო უკვე აღარ ერევა დეკანის კანდიდატების შერჩევას და შესაბამისად, განცხადებითაც უნდა მიმართოს ფაკულტეტის საბჭოს, ვინაიდან დეკანის არჩევნებთან დაკავშირებით ყველა გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტი. ამიტომ ვფიქრობ, რომ ლოგიკურია ეს გადაწყვეტლებაც, რომ დეკანობის მსურველმა კანდიდატმა ფაკულტეტის საბჭოს უნდა მიმართოს განცხადებით.

პროფ. ე. მექვაბიშვილი - გეთანხმებით და ეს ნამდვილად კარგი გადაწყვეტილებაა, რომ უფლება-მოსილება მთლიანად გადასცეს ფაკულტეტის საბჭოს და არ ერევა რექტორი და შესაბამისად, აკადემიური საბჭო, თუ ადრე აკადემიური საბჭო ამტკიცებდა ერთ კანდიდიდატს და გვეუბნებოდა ღია კენჭისყრით აირჩიეთო, ამიტომ ეს მდგომარეობა გამოსწორებულია და რატომ

ვართულებთ საქმეს, კანდიდატი დაწერს განცხადებას და ჩააბარებს ფაკულტეტის კანცელარიაში.

იურისტი გვანცა ხასია - სწორედ ასეა გათვალისწინებული ბატონო ელგუჯა. ასევე, შენიშვნა იყო პირველი მუხლზე, სადაც საუბარია ფარულობასთან დაკავშირებით. გადავხედავ ფორმულირებას და თქვენი მოსაზრების გათვალისწინებით რამდენადაც შესაძლებელი იქნება გავასწორებ აღნიშნულ ფორმულირებას. შემდეგი მოსაზრება ეხებოდა კონცეფციას და ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიას, რომელზეც ბატონმა თემურმა გაგცათ პასუხი. შემდეგი იყო **მუხლი მესამე - საარჩევნო ბიულეტენი,** სადაც ერთ-ერთ პუნქტად მითითებულია ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი და რიგითი ნომრების თანმიმდევრობა დალაგებული ალფავიტის მიხედვით, გასათვალისწინებელია თქვენი სენიშვნა და აუცილებლად გასწორდება აღნიშნული ფორმულირებაც. რაც შეეხება **მეხუთე მუხლს** აღნიშნულია, რომ კენჭისყრა დეკანის ასარჩევად ტარდება 12.00-15.00 სთ, ფაკულტეტის მიერ გამოცხადებულ არჩევნების დღეს. იმ შემთხვევაში თუ აუცილებელი გახდა მეორე ტურის ჩატარება, რომელიც უნდა გაიმართოს ერთ საათიან შუალედში იმავე დღეს, აღნიშნული პროცედურა რომ არ ყოფილიყო დროში გაწელილი, სწორედ ამიტომაა ეს დრო განსაზღვრული. **მუხლი 7. ხმების დათვლა.** აქ საუბარია როდის მიიჩნევა ბიულეტინი ბათილად თუ საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის საარჩევნო კომისიის რეგისტრატორთა 3 (სამი) ხელმოწერით, გეთანხმებით, რომ შეიცვალოს ფორმულირება და ჩაიწეროს კომისიის წევრის 3 (სამი) ხელმოწერით. ამავე მუხლთან დაკავშირებული შენიშვნა ბიულეტენების საერთო რაოდენობა უნდა ემთხვეოდეს ამომრჩეველთა სიაში ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ხელმოწერების რაოდენობას; სასურველია ფორმულირება ჩასწორდეს შემდეგნაირად - ბიულეტენების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამომრჩეველთა სიაში ფაკულტეტის საბჭოს წევრთა ხელმოწერების რაოდენობას - სავსებით მისაღებია აღნიშნული შენიშვნა და შესაბამისი ფორმულირება გასათვალისწინებელია. რაც შეეხება **მერვე მუხლს - არჩევნების შედეგების შეჯამება.** აღნიშნულია, რომ არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობს პირველი ორი საუკეთესო შედეგის მქონე

კანდიდატი. იმ შემთხვევაში თუ ერთიდაიგივე შედეგი დააგროვა სამმა კანდიდატმა რა ვქნათ ამ შემთხვევაში? ორის შერჩევა რა კრიტერიუმების მიხედვით ხდება? მე ჩავინიშნე თქვენი წინადადება და გადავხედავ არსებულ ვარიანტს და აღნიშნულ ბუნდოვანებას აუცილებლად გავასწორებ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 33;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: 1. დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურები (იხილეთ დანართი);

2. ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს აღნიშნულის დამტკიცება.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2014 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების შესახებ (დანართი #2).

(ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე)

მომხსენებელმა ბატონმა ა. მიქაბერიძემ საბჭოს გააცნო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, რომელიც საბჭოს წევრებს დაგზავნილი ქონდათ ელექტრონულადაც.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ნ. თოდუა - დიდი მადლობა მინდა ვუთხრა საბიუჯეტო კომისიას, რომელმაც დარწმუნებული ვარ უზარმაზარი სამუშაო გასწია ბიუჯეტის შედგენასთან დაკავშირებით, მაგრამ არის რიგი საკითხებისა, რომელიც აუცილებლად უნდა გაირკვეს. მე თვითონაც ძალიან უხერხულობაში ვვარდები, როდესაც წარმომადგენლობით საბჭოს სხდომაზე ხდება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტის განხილვა და არის ისეთი საკითხები, რომელიც არაა ცნობილი ჩვენთვის და როდესაც კითხვას ვსვავ მეუბნებიან, რომ ეს

საკითხები ფაკულტეტის დონეზე შეგეძლოთ გაგერკვიათო. მაშინ როდესაც მე დავსვი საკითხი ტურიზმის სკოლის ბიუჯეტთან დაკავშირებით, მაშინ ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილი ყოფილა, დეკანი კი მპასუხობდა არ ვიციო. ასეთი სიტუაცია კიდევ რომ არ განმეორდეს, ამიტომ მინდა გაგვარკვიოთ რამდენიმე საკითხში, კერძოდ, ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 2 მლნ. იზრდება ეს ძალიან კარგია, მაგრამ იქნებ გაგვარკვიოთ რის ხარჯზე ხდება ზრდა? იმ ფონზე, როდესაც მომავალი სასწავლო წლისთვის სტუდენტთა მისაღები კონტიგენტის შემცირებული ვარიანტი წინა საბჭოს სხდომაზე უკვე დავამტკიცეთ. მე ბატონ აკაკის ვკითხე და მივიღე პასუხი, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მხოლოდ სტუდენტთა შენატანების საფუძველზეა გათვლილი. რაც შეეხება შემდეგ კითხვას მდგომარეობს შემდეგში, მე თან მაქვს 2013 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, რომელსაც ჩვენ ვიხილავდით საბჭოს სხდომაზე. შარშან მე წინა დეკანთან მქონდა საკმაოდ დიდი პრეტენზიები, სადაც ყველაფერი გათვლილი იყო - არსებული საშტატო განრიგი, როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტარციული, დეკანის, მისი მოადგილის და ა.შ. ანუ არსებული საშტატო ერთეულის სახელფასო განაკვეთები მოცემული იყო ნათლად და გარკვევით. მაშინ როდესაც ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი იზრდება საკმაოდ სოლიდური თანხით 1 200 000 ლარით, არ უნდა ვიცოდეთ გაზრდა ხდება არსებული ხელფასების, თუ დამატებით იზრდება საშტატო ერთეული. არსებული საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ ვუბრუნდებით 2006 წელს არსებულ სიტუაციას, როდესაც ფაკულტეტზე 570 შტატი იყო. ჩემთვის ეს საკითხი ძალიან საინტერესოა, რადგან მაქვს უფლება ვიცოდე ჩემი კათედრა იქნება 8 წევრიანი თუ 28 წევრიანი? თუმცა ჩემთვის ასევე საინტერესოა დაითვალეთ საათების რაოდენობა? როდესაც შემცირებულ სტუდენტთა რაოდენობას მივიღებთ მაშინ რა მდგომარეობა იქნება საათების თვალსაზრისით, რომელზეც რა თქმა უნდა მიბმულია შტატების რაოდენობაც. ასევე საინტერესოა შტატგარეშე მომუშავე აკადემიური პერსონალის ანაზღაურების საკითხიც, რატომ არაა აქ ნათლად მოცემული მათი ანაზღაურება რამდენი იქნება. ძალიან კარგია რომ სამივლინებო და წვეულებების თანხები იზრდება, მაგრამ მაშინ როდესაც

ვაფიქსირებთ, რომ ძალიან გვიჭირს და არაა საკმარისი თანხები, რომ პრაქტიკის ანაზღაურების საკითხი გადაწყდეს, რომელიც დღემდე მოუგვარებელია. ასევე, სამეცნიერო შრომებისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების გამოცემასთან დაკავშირებით, შევაჩეროთ სახელმძღვანელოებზე მუშაობა და არ გავაგრძელოთ? არ გამოუშვათ სახელმძღვანელოები? თარგმანსთან დაკავშირებით ჩვენი რეტორი სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ითარგმნოს მსოფლიოში აპრობირებული სახელმძღვანელოები და უკვე რამდენადაც ვიცი დაწყებულია თარგმანი რამდენიმე სახელმძღვანელოსი და მაინტერესებს ფაკულტეტი არ შეუწყობს ხელს ამ პროცესს? შემდეგი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ჟურნალის თაობაზე, სულ იმას ვამბობთ, რომ ჩვენ ჟურნალს რეფერირების პრობლემა ააქვს და არაა საკმარისი თანხები ამისთვის. მოვაკლოთ თანხები სხვა რამეს და ხელი შევუწყოთ ჩვენი ჟურნალის განვითარებას, რადგან თუ არ დავიწყებთ ამ პროცესს, არასოდეს არ იქნება ჩვენი ჟურნალი ისეთი, როგორიც უნდა იყოს. და კიდევ უამრავი საკითხებია ისეთი, რომელიც კითხვის ნიშნებს ბადებს და ამიტომ ჩემი თხოვნაა გაგვარკვიოთ ყველა ამ საკითხებში. ასევე მინდა ავღნიშნო, რომ როდესაც კათედრის განვითარების გეგმა მთხოვა დეკანმა სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად არის კათედრის რემონტის საკითხი, ფაკულტეტის წინა ყველა ხელისუფალი რემონტს იწყებდა პირველი სართულიდან და მოგეხსენებათ, რომ ჩვენი კათედრა მეთერთმეტე სართულზეა და ამიტომ არასდროს არ მოხერდა რემონტის ჩატარება. ძალიან კარგია, რომ გარემონტდა მესამე სართული სტუდენტთა მომსახურებისთვის, მაგრამ საინტერესოა კათედრები სტუდენტებს არ ემსახურებიან? ამიტომ ბატონო თემურ გთხოვთ, რომ გაითვალისწინოთ აღნიშნული საკითხები.

პროფ. თ. შენგელია - აბსოლიტურად ვეთანხმები იმ პათოსს, რომლითაც გამოდიოდა ჩემი კოლეგა პროფესორი ნუგზარ თოდუა. ფაქტობრივად, რაც აქ წარმოადგინეთ ეს ბიუჯეტი არ არის, ესაა ბიუჯეტის გამსხვილებული პარამეტრები, ანუ ზოგადად თქვენ ჩამოწერეთ ციფრები და ისიც საინტერესოა ეს შეთანხმებულია თუ არა საფინანსო სამსახურთან, ანუ ეს ასიგნებები უკვე გამოყოფილია თუ არა? თუ ეს თქვენი პრეტენზიაა, მაშინ აქ

ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ 12 მლნ. ზოგადად, რაც მე აქ დავინახე, მაქვს შემდეგი ხასიათის შეკითხვები. როდესაც ვადგენთ ბიუჯეტს აუცილებლად უნდა ახლდეს განმარტებითი ბარათი, სადაც ჩაშლა მოხდება ყველა პარამეტრის, რადგან უნდა ვიცოდეთ მისი მიზნობრიობა, თვითეული თეთრი სად იხარჯება და როგორ. მაინტერესებს, რამდენი არის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიუჯეტი და რამდენია ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ბიუჯეტი, რადგან მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ როგორც შტატები, ასევე დანახარჯები გაბერილია ტურიზმის საერთაშორისო სკოლაში და არაადეკვატურია იმ აუცილებელობისა, რომელიც გააჩნია ამ სკოლაში. თუ ვინმეს არგუმენტები და ციფრები სჭირდება შესაძლებელია დავსხდეთ და შემდეგ ვიმსჯელოთ ამ საკითზე. ასევე, საინტერესო თემაა უცხოეთიდან მოწვეული აკადემიური პერსონალის ანაზღაურების საკითხი. რამდენს ვუხდით ამ ხალხს ერთ საათში, რამდენ ადამიანს ვიწვევთ ჩვენ, ეს ხომ უნდა იყოს დაგეგმილი? ჩემთვის საინტერესეოა რამდენად განსხვავდება ჩემი ანაზღაურება ერთ საათში მოწვეული აკადემიური პერსონალის ანაზღაურებისაგან. შემდეგი საკითხი, ჩვენ გვაქვს დოქტორანტების ანაზღაურება, ჩვენ თუ არ წავახალისეთ დოქტორანტები, თუ პირობები არ შევუქმენით ისინი აქ არ დარჩებიან, ამიტომ მე ვფიქრობ სასურველია ორი ან სამი საუკეთესო დოქტორანტი სიმბოლურად მაინც წავახალისოთ. ყველაზე მნიშვნელოვანია ასევე, მსოფლიოში აპრობირებული სახელმძღვანელოების თარგმნის საკითხიც, რომელიც მე ნამდვილად მაწუხებს. დაახლოებით 24 000 ლარი ღირს ერთი სახელმძღვანელოს თარგმნა. როდესაც მე მივედი საფინანსო დეპრტამენტში დაფინანსებასთან დაკავშირებით მითხრეს, რომ თქვენ ბიუჯეტში არ გიდევთ თანხები ამასთან დაკავშირებითო და დიდი ძალისხმევით როგორღაც ეს საკითხი გადამიწყვიტეს დადებითად. ამიტომ, სასურველია ბიუჯეტში ჩადებული თანხა გაიზარდოს, რადგან ძალიან მცირეა, თითქმის ერთი სახელმძღვანელოს თარგმნის საფასურია. ასევე დიდი მეჩვენება აეროპორტში დახვედრა-გაცილების თანხებიც, მე მგონი არაა საჭირო 4 000 ლარის გამოყოფა და შეიძლება ვისაუბროთ ეკონომიაზე. ასევე, ეკონომიაზე შეიძლება საუბარი, როდესაც ვსაუბრობთ მიღების, ოფიციალური

სადილების და ა.შ. ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ მე ფაკულტეტზე გავაკეთე საერთაშორისო კონფერენცია და 15 ლარი დაჯდა ალაფუშეტი, მე მგონი 40 000 ლარი გაბერილია და არაა საჭირო. შემდეგი - სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი გამოყოფილია 35 000 ლარი. აქაც ვფიქრობ, რომ ეს თანხა ძალიან დიდია, რადგან ყველაზე დიდი საერთაშორისო კონფერენცია რომელიც ჩატარდა ქალბატონი ეთერ ხარაიშვილის ხელმძღვანელობით, სხვათაშორის მე ვიყავი ერთ-ერთი ლობისტი, რომ დაფინანსებულიყო ეს კონფერენცია დაჯდა - 12 000 ლარი. 35 000 ლარი ძალიან დიდია, მითუმეტეს როდესაც თქვენ დაგეგმარებას ახდენთ, როდესაც უკვე წლის დასაწყისში იცით რა კონფერენცია ტარდება, სად ტარდება, რა რესურსებით ტარდება. ეს ხუთკაციანი კონფერენციები არავის არ სჭირდება, მითუმეტეს საერთაშორისო კონფერენცია როცა ერთი კაცი არ ჩამოდის უცხოეთიდან ესეც არავის არ სჭირდება. აქ მე მაინც მიმაჩნია, რომ ფაკულტეტის დონეზე უნდა ვატარებდეთ კონფერენციას, სადაც ფაკულტეტის მთლიანი რესურსი იქნება ჩართული. კიდევ ერთი საკითხი - ამ კონფერენციებთან დაკავშირებით არ არსებობს ანგარიშვალდებულება, სად იხარჯება და რისთვის იხარჯება გამოყოფილი თანხები. როდესაც ამ საკითხთან დაკავშირებით ანგარიშვალდებულებას მოვითხოვთ ენთუზიაზმიც გაქრება კონფერენციების ჩატარებასთან დაკავშირებით. და ბოლოს, ეს რომ არ ვთქვა არ შემიძლია, არის ერთადერთი ეკონომიკური პროფილის პაატა გუგუშვილის სახელობის ინსტიტუტი იყო, რომელიც გადარჩა და გახდა თსუ-ს კვლევითი ინსტიტუტი. ინსტიტუტს ყავს დირექტორი, ერთ დირექტორს ქონდეს 6 000 ლარი და მეორეს 600 ლარი, ესაა აბსოლიტურად არაადეკვატური სიტუაცია და დისკრიმინაცია. ეს ინსტიტუტები, რომელიც შემორჩა რაღაცით მაინც უნდა წავასახლისოთ და გარკვეული თანხა ჩაიდოს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში, რადგან მეცნიერული კვლევის სეგმენტი შესაძლებელია იქაც გადავანაწილოთ, მეცნიერული კვლევა აუცილებლად უნდა წავახალისთ.

პროფ. ქ. მარშავა - დარწმუნებული ვარ ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილის შედგენას თვითეული თქვენთაგანი ძალიან კარგად და შეიძლება უფრო უკეთესადაც

გაგეკეთებინათ, ვიდრე ჩვენ. აქ არის ძირითადი პრობლემა თანხების გამოყოფაა. ვერავინ ვერ მეტყვის და დამარწმუნებს იმაში, რომ ჩვენს ფაკულტეტს მისი შემოსავლების 50%-ი მაინც არ ეკუთვნის. საიდან ხდება ამ 50%-ის ათვლა? ყოველ წელს საფინანსო დეპარტამენტის მიერ და ჩვენს მიერ დათვლილ თანხებს შორის სხვაობა 1 მლნ-დან 2 მლნ-მდე მერყეობს. როცა გვეუბნებიან, რომ წელს თქვენი შემოსავლები 10 მლნ-ია, რომ დამთავრდება წელი რეალურად შემოსავალი 12 მლნ-ია. ბიუჯეტის ჩაშლა რომ უნდა მოხდეს ამაზე არავინ არ კამათობს, მაგრამ აქ პრობლემაა ასიგნებების თანხის გამოყოფა, როდესაც ყოველთვის წინააღმდეგობას ვაწყდებით უნივერსიტეტის ადმინისტარციის მხრიდან.

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - მინდა მოგახსენოთ ტურიზმის განვითარების ინსტიტუტთან დაკავშირებით, ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის ხარჯვითი ნაწილის პროექტი ჩვენ გადავეცით დეკემბრის დასაწყისში. იმის მერე მოგეხსენებათ, რომ სტუდენტთა მისაღები კონტიგენტი რადიკალურად შეიცვალა და ეს ბიუჯეტი ნამდვილად გადასახედი იქნება ჩვენს ნაწილში. მე ფქირობ, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს და მოხდება კიდეც ხარჯვითი ნაწილის გადახედვა და შეჯერება. ნამდვილად ვეთანხმები ბატონ ნუზარს და ბატონ თემურს, რომ აუცილებლად ჩაშლილი და გამჭირვალე უნდა იყოს თვითეული მუხლი ყველასთვის. კიდევ ერთი, ძალიან დიდი თხოვნა მაქვს სტრატეგიული დაგეგმვის თვალსაზრისით და არაა სწორი ის განცხადება, რომ ჯერ დავამტკიცოთ კონსოლიდირებული ბიუჯეტი და შემდეგ მოვახდინოთ მისი გაყოფა, აუცილებლად უნდა იყოს ეტაპობრივად ყველაფერი გათვლილი. პირველ რიგში, ყველა პროგრამის ბიუჯეტი უნდა შედგეს, მე მაინტერესებს თუნდაც „საერთაშორისო საწარმოთა მართვის“ პროგრამის ბიუჯეტი, მათი ადმინისტარაციის ხელფასები, ასევე საინტერესოა ეკონომიკის საერთაშორის სკოლის შემოსავლები და ხარჯვითი ნაწილი, ძალიან საინტერესოა რომელი პროგრამაა მომგებიანი და რომელი არა, რადგან სულ ტურიზმის საერთაშორისო სკოლის ბიუჯეტის მიმართაა პრეტენზიები, მე მგონი საინტერესოა მათი ბიუჯეტიც.

პროფ. ე. ხარაბაძე - მე აუცილებლად უნდა ვთქვა ამ სამუშაო ვერსიასთან დაკავშირებით. უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, ხარჯვითი ნაწილი რაც მეტი იქნება უკეთესია ჩვენი ფაკულტეტისთვის. საინტერესოა რატომაა ასეთი განსხვავება ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში ჩვენს დათვლილსა და უნივერსიტეტის ადმინისტარაციის დათვლილს შორის. 10%-იანი რყევა არის გათვალისწინებული სწავლის საფასურის გადახდის მომენტისათვის ვინც ვერ იხდის თანხას. იმის გამო, რომ ყოველწლიურად მეორდება ერთიდაიგივე სიტუაცია ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში არსებულ განსხვავებას შორის, უმჯობესია დავსვათ საკითხი, თუ შევთანხმდებით, რომ ხარჯვითი ნაწილის 45% ან 50% ეკუთვნის ფაკულტეტს, მაშინ ეს უნდა გავრცელდეს იმ სხვაობაზეც, რომელიც როგორც უკვე ავღნიშნე, რომ ყოველწლიურად ფიქსირდება ჩვენს დათვლილსა და ადმინისტრაციის დათვლის შორის და წლის ბოლოს ამ თანხის განკარგვის უფლება მიეცეს ისევ და ისევ ფაკულტეტს. მეორე, მოგეხსენებათ ეხლა განხილვის მომენტია და არანაირ საფუძველს არ ემყარება ხელფასების მატების ეს გაანგარიშება, როგორც აკადემიური და ადმინისტაციული, ასევე შტატგარეშე მოწვეული აკადემიური პერსონალის. გაანგარიშების საფუძველი ესაა სტუდენტთა რაოდენობა, რომელიც ფაკულტეტის საბჭოს წინა სხდომაზე შემცირებული რაოდენობა დავამტკიცეთ და ასევე, დამტკიცებული და აკრედიტირებული სასწავლო პროგრამები, რომელშიც როგორც ვიცით, არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა. ამიტომაც არსებული ხელფასების მატება არამართებულ გაანგარიშებად მიმაჩნია. ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ ვინც არ უნდა იყოს დამფინანსებელი, ეს თანხები გახლავს სტუდენტებისათვის მოსახმარებელი, რომ მიიღონ განათლება კვალიფიცირებული პროფესორების, მოწესრიგებული აუდიტორიების, ბიბლიოთეკის და ა.შ. დახმარებით. ამიტომ, მაინცდამაინც ხელფასების მატებაზე ნუ ვიქნებით ორიენტირებულები, რომელიც არგუმენტირებული არ იქნება. ჩვენ ვართ ერთადერთი ფაკულტეტი უნივერსიტეტში, რომელიც კონკურენციულ ბრძოლაშია ჩაბმული და ღმერთმა დაგვიფაროს რომ ჩვენ მათ სწორებაზე რომ ვიაროთ, პირიქით უნივერსიტეტის სწორებაზე უნდა იარონ სხვა კონკურენტმა უმაღლესმა სასწავლებლებმა. გვაჩვენა განვლილმა

წლებმა, რომ სწორედ ჩვენი პროფესურით იდგა ფეხზე არსებული კომერციული უმაღლესი სასწავლებლები და ჩვენი პროფესურის მეშვეობით საკმაოდ რეიტინგულებიც იყვნენ. ასეთ კონკურენციას თუ გვინდა რომ გავუმკლავდეთ, უნდა დაისვას საკითხი - ვინაიდან არ არის საფაკულტეტო ხარჯთა მუხლი რემონტი, ჩვენი შემოსავლებიდან აუცილებლად უნდა გამოიყოს თანხა, სულ მცირე 1 მლნ. ლარი, რომელიც გათვალისწინებული იქნება აუდიტორიების რემონტისათვის. აუცილებელია მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის გაუმჯობესება, როგორც კომპიუტერების, ასევე პროექტორების შეძენისთვის არის გათვალისწინებული თანხები? ასევე ფაკულტეტის ბიბლიოთეკისათვის წიგნების შეძენაზე გათვალისწინებულია საკმარისი თანხები? ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი აუცილებლად უნდა გაიზარდოს. შემდეგი საკითხი ეხება უცხოელი პროფესორების მოწვევას, აქ დასაზუსტებელია ორი საკითხი ვის ვიწვევთ და რაზე ვიწვევთ, ეს ერთჯერადი ლექცია თუ პროგრამითაა გათვალისწინებული და ანაზღაურებაც სწორედ აქედან გამომდინარე უნდა განისაზღვროს. ასევე, ვეთანხმები ბატონ ნუგზარ თოდუას, რომ გადასაწყვეტია პრაქტიკის საკითხი და როგორმე ყველამ ერთად ვეცადოთ, რომ გავაფორმოთ მემორანდუმები ორგანიზაციებთან და საწარმოებთან, რომ პრაქტიკაზე მიიღონ ჩვენი სტუდენტები. არ შეიძლება ეკონომისტი გაიზარდოს სრულფასოვანი, რომელსაც პრაქტიკასთან შეხება არ ააქვს. ასევე მინდა შევეხო პროფესორების კვირეული საათობრივი დატვირთვის გათანაბრებას, დისკრიმინაცია არსად არ ვარგა, ესეც ალბად დიფერენცირებას მოითხოვს.

ასოც. პროფ. ჩარიტა ჯაში - მე მგონი აქ ყველაზე მნიშვნელოვანია გავარკვიოთ ჩვენი ფაკულტეტის შემოსავლების რამდენ პროცენტს გვაძლევენ.

პროფ. ი. კოვზანაძე - თუ დეტალური გაშლა არ იქნება რისთვის გვინდა აღნიშნული ხარჯების გაწევა ისე ჩვენ ამ თანხებს არ გამოგვიყოფენ, გასაგებია რომ ხარჯვითი ნაწილის გაზრდა კეთილი სურვილებია, მაგრამ რეალობა ეს არის. მინდა შევეხო ბაკალავრების საკურსო შრომების ხელმძღვანელობის პრობლემას, რადგან რეალურად სტუდენტთა რაოდენობა ბევრია და შტატის თანამშრომლებს უწევთ დიდი რაოდენობის სტუდენტების

ხელმძღვანელობა, რეალურად მოწვეულ პროფესორებსაც უწევთ ხელმძღვანელობა და ამიტომ სასურველია ამ ნაწილშიც გათვალისწინებული იყოს თანხის გამოყოფა მათთვის. ასევე, აუცილებლია პრაქტიკის კუთხით ყურადღების გამახვილება, რომ ჩვენი ფაკულტეტის კურსადმთავრებულებმა რეალურად მოახერხონ და კონკურენცია გაუწიონ კერძო უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს და სწორედ ამ მიმართულებით უნდა იყოს გათვლილი ჩვენი ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილიც. მეორე საკითხი რომელიც მინდა მოგახსენოთ სადისერტაციო შრომებთან დაკავშირებითაა, სამი ნაშრომი რომელიც გათვალისწინებულია დოქტორანტისთვის ძალიან ცოტაა და გასაზრდელი და გასამკაცრებელია მოთხოვნები ამ მიმართულებით. მე მქონდა კათედრაზე ასეთი შემთხვევა დოქტორანტმა აპრობაციაზე წარმოადგინა თემა, რომელიც სათაური მიხედვით საბიუჯეტო სისტემაში გულისხმობდა რევოლუციის მოხდენას, რომელიც არ იყო სათანადოდ მომზადებული და არ მივეცით მსვლელობა მივეცით დამატებით დრო დისერტაციის გადასამუშავებლად და მოსამზადებლად. ამიტომ ვფიქრობ რეალურად მოთხოვნები გასამკაცრებელია ამ მიმართულებით, რომ არ მოხდეს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომის დევალვაცია. სწორედ ამ ნაწილში გვინდა თქვენი მხარდაჭერა და უნივერსიტეტის ადმინისტაციის მხარდაჭერაც, იმისათვის რომ სწორად შეაფასოთ ეს პროცესები, თორემ ჩემთვის ძალიან ადვილია დოქტორანსაც ადვილად გავუშვებ დაცვაზე და მაგისტრსაც ადვილად გავუშვებ სამაგისტრო შრომების დაცვაზე.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განხილვა-დამტკიცება გადაიდო მომავალი საბჭოს სხდომისთვის.

მოისმინეს: კურსდამთავრებულთათვის ხარისხის მინიჭებისა და მინიჭებული ხარისხის კორექტირების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

მომხსენებელმა ქალბატონმა ნინო პაპაჩაშვილმა ფაკულტეტის საბჭოს თხოვა შუამდგომლობა, რომ მიენიჭოს ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს დიპლომი ჩვეულებრივი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2012-2013 სასწავლო წლის კურსდამთავრებულს:

1. ღვინეფაძე ანა

მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს დიპლომი ჩვეულებრივი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2012-2013 სასწავლო წლის კურსდამთავრებულს:

1. ასიეშვილი ქეთევანი

მომხსენებელმა ქალბატონმა ნინო პაპაჩაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების #8, 06.08.2013 წლის საფაკულტეტო წარდგინებაში გაიპარა შეცდომა, შესაბამისად შეცდომაა რექტორის ბრძანებაში #1146/01-04, 06.08.2013 წ. წარდგინებით - გიორგი ტაბატაძეს ფაკულტეტის საბჭოს #8 (25.07.2013) გადაწყვეტილებით მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, რაც არასწორია. უნდა იყოს - გიორგი ტაბატაძეს ფაკულტეტის საბჭოს #8 (25.07.2013) გადაწყვეტილებით მიენიჭოს ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ამიტომ, ფაკულტეტის საბჭოზე განმეორებით უნდა მოხდეს გიორგი ტაბატაძისათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი.

ქალბატონმა ნ. პაპაჩაშვილმა აღნიშნა, რომ ეტაპობრივად მიმდინარეობს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2010 წლამდე (ვიდრე არ იქნა ამოქმედებული ახალი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #120/ნ, 10 დეკემბერი, 2010 წ.) კურსდამთავრებულთათვის მინიჭებული ხარისხების კორექტირება შესაბამისი დროისათვის მოქმედი რეგულაციის მიხედვით. შესაბამისად, მოხდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის თსუ რექტორის 1619/01–04; 14.12.2007 ბრძანებით მინიჭებული

ხარისხების კორექტირება. ასევე, შევიდეს ცვლილება თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის თსუ რექტორის 1619/01–04; 14.12.2007 ბრძანებაში და მოხდეს მინიჭებული ხარისხების კორექტირება.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ე. მექვაბიშვილმა, პროფ. ე. ხარაბაძემ, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა, ასოც. პროფ. ნ. კაკულიამ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 33;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ა). <u>მიენიჭოს ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი</u> და მიეცეს დიპლომი ჩვეულებრივი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2012-2013 სასწავლო წლის კურსდამთავრებულს:

1. **ღვინეფაძე ანა**

ბ). <u>მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი</u> და მიეცეს დიპლომი ჩვეულებრივი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2012-2013 სასწავლო წლის კურსდამთავრებულს:

1. **ასიეშვილი ქეთევანი**

გ). შევიდეს ცვლილება თსუ *რექტორის ბრძანებაში #1146/01-04, 06.08.2013 წ. და მოხდეს მინიჭებული ხარისხების კორექტირება:*

*1. <u>ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის</u> აკადემიური ხარისხის ნაცვლად **გიორგი ტაბატაძეს** მიენიჭოს <u>ეკონომიკის ბაკალავრის</u> აკადემიური ხარისხი.*

დ). *შევიდეს ცვლილება თსუ რექტორის 1619/01–04; 14.12.2007 ბრძანებაში და მოხდეს მინიჭებული ხარისხების კორექტირება:*

*<u>1.ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ტურიზმის მენეჯერის კვალიფიკაციით)</u> აკადემიური ხარისხის ნაცვლად **ლევან***

__მასპინძელაშვილს__ მიენიჭოს __ბიზნესის მართვის__ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

ე). *შევიდეს ცვლილება თსუ რექტორის 1592/01–04; 06.12.2007 ბრძანებაში და მოხდეს მინიჭებული ხარისხების კორექტირება:*

1. *__ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მენეჯერის კვალიფიკაციით)__ აკადემიური ხარისხის ნაცვლად __რომან მუქერიას__ მიენიჭოს __ბიზნესის მართვის__ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;*
2. *__ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (საინფორმაციო სისტემების მენეჯერის კვალიფიკაციით)__ აკადემიური ხარისხის ნაცვლად __დავით პაპიძეს__ მიენიჭოს __ბიზნესის მართვის__ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;*
3. *__ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (მენეჯერის კვალიფიკაციით)__ აკადემიური ხარისხის ნაცვლად __მარინა მეგრელიშვილს__ მიენიჭოს __ბიზნესის მართვის__ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;*
4. *__ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (ტურიზმის მენეჯერის კვალიფიკაციით)__ აკადემიური ხარისხის ნაცვლად __ნიკოლოზ ახვლედიანს__ მიენიჭოს ბიზნესის მართვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.*

მოისმინეს: სადოქტორო დისერტაციის შემფასებლების ანაზღაურების საკითხის შესახებ.

(სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე)

მომხსენებელმა ქალბატონმა მ. ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ სადისერტაციო საბჭოზე (2013 წლის 29 მაისის ოქმი #5) გადაწყდა სადოქტორო დისერტაციის შემფასებლების ანაზღაურების საკითხი, მხოლოდ არ იყო თანხა გადაწყვეტილი რამდენი უნდა ყოფილიყო გამოყოფილი. შევთანხმდით დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან და დეკანის მოადგილესთან და 200 ლარის ოდენობით მიეცეს სადოქტორო დისერტაციის შემფასებელს ანაზღაურების სახით. თუ განსხვავებული

მოსაზრებები გექნებათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეგვიძლია მოვისმონოთ.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ე. ხარაბაძემ, პროფ. რ. გველესიანმა, პროფ. ე. მექვაბიშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 33;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: სადოქტორო დისერტაციის შემფასებლების ანაზღაურება განისაზღვროს ორასი (200) ლარის ოდენობით.

მოისმინეს: „საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის (გერმანია) უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ორმაგი ხარისხით პროგრამის ფარგლებში მივლინების ანგარიში

(მომხსენებელი დეკანის მ.შ. ასოც. პროფ. თ. ბერიძე)

მომხსენებელმა ბატონმა თ. ბერიძემ საბჭოს წარუდგინა ანგარიში „საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის (გერმანია) უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა ორმაგი ხარისხით პროგრამის ფარგლებში მივლინების შესახებ.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

ასოცირებული პროფესორი: თ. ბერიძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,

ასოცირებული პროფესორი: ხ. ბარბაქაძე